მარიამ ბიბილაშვილი

(საქართველო)

სასწავლო პროგრამა „ისე და იაპონია“

ძალიან მიხარია, რომ, არსებული პანდემიის შედეგად გამოწვეული მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, სასწავლო პროგრამა „ისე და იაპონია“ წარმატებით დასრულდა. ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა, მქონოდა აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ჩემი ცოდნა არა მხოლოდ ისესა და შინტოიზმის, არამედ-ზოგადად, იაპონელთა მსოფლხედვისა თუ ფილოსოფიის შესახებ.

ლექციებითა და სასწავლო ვიზიტებით დატვირთული ორი კვირის განმავლობაში, მოგვეცა შანსი, დარგის გამორჩეული სპეციალისტებისაგან მიღებული თეორიული ცოდნა შეგვევსო პრაქტიკული საველე გასვლებისა და დამოუკიდებელი კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციით და ჩვენი აკადემიური ინტერესებისათვის მოგვერგო პროგრამის შინაარსი. შედეგად, ჩემი საბოლოო პრეზენტაციაც სწორედ პროექტის თემისა და ჩემი საკვლევი ინტერესის (საერთაშორისო ურთიერთობები) გადაკვეთის წერტილს დაეფუძნა და შინტოისტური ტაძრების, როგორც საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტის, როლს შეეხო მეიჯის პერიოდის იაპონიაში.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო პროექტის ორგანიზატორის-ბატონი ტამადას და კოგაკკან უნივერსიტეტის პროფესორიების მიმართ, რომლებმაც საოცარი ენთუზიაზი, გულისხმიერება და შრომისუნარიანობა გამოიჩინეს პროექტის წარმატებისათვის. ასევე, მიხარია, რომ შევხვდი ხუთ საინტერესო ახალგაზრდას ესპანეთიდან, ლიტვიდან და ამერიკიდან, რომლებთან ურთიერთობამაც შესაძლებლობა მომცა, სხვადასხვა პერსპექტივიდან დამენახა იაპონია, იაპონური კულტურა და წეს-ჩვეულებები.

იქიდან გამომდინარე რომ, სოციალური მედიის მეშვეობით, ისესა და შინტოიზმის შესახებ მიღებულ ინფორმაციას ასევე ვუზიარებდი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მყოფ მეგობრებს, ვფიქრობ, მრავალ ადამიანს გაუჩნდება ისეს მონახულების სურვილი. ჩემი მხრიდან კი, მხოლოდ უდიდესი რეკომენდაციის გაწევა შემიძლია. დარწმუნებული ვარ, რომ იაპონიის ისტორიით, კულტურით, რელიგიებითა და ფილოსოფიით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის განსაკუთრებულად შთამბეჭდავი იქნება აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა.

ビビラシュヴィリ ・マリアム（ジョージア）

2021 年「伊勢」と日本スタディプログラム　最終リポート

COVID-19 のパンデミックによって引き起こされた多くの制限にもかかわらず、「伊勢」と日本スタディプログラムが無事に完了したことを非常に嬉しく思います。そして、このプログラムに参加できたのはとても幸運だったとも思います。これにより、伊勢と神道だけでなく、日本人の世界観や哲学全般についての知識が大幅に増えることとなりました。

講義と実地学習で満載の 2 週間の間に、その分野の著名な専門家から得た理論的な学習を、実際のフィールドスタディとこれまでの専門研究を通じて得てきた知識や情報で補足し、プログラムの内容を私たちの学問的関心に変えさせる工夫が随所になされていました。その結果、私の最終的なプレゼンテーションは、このプログラムのテーマと私の研究対象（国際関係）を結び付け、明治時代における日本の外交政策の一つとしての神社の役割について発表しました。

プログラムの成功のために驚くべき熱意と、そして勤勉さで対応してくださった運営側の玉田さんと皇學館大学の先生方に特に感謝申し上げます。さらに、様々な国籍で構成された同年代である仲間にもめぐり会えて、日本、日本の文化、習慣をさまざまな視点から学ぶことができました。

最後に、ソーシャルメディアを通じて伊勢や神道、神社について、ジョージア国内外の友人に発信しました。きっと伊勢に興味を持ち、足を運ぶ方もいると思います。私は、このプログラムについて周囲に今後、最大限の推奨をしてまいります。日本の歴史、文化、宗教、哲学に興味のある者は必ず、このプログラムに参加することで大きな恩恵を受けることを確信しています。

以上